



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY
ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭო

სხდომის ოქმი №01

ქ. თბილისი

20 იანვარი 2016 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი მაკა კაჭარავა

საბჭოს წევრები: პროფესორები: ვალენტინა საყვარელიძე, ირინა ჯობავა, მარინა ბალიაშვილი, ასოცირებული პროფესორები: კახა კვაშილავა, ირმა ზაქარაია, მანია ალაია, ინგა მორგოშია, ირმა გულორდავა, ელენე ჩომახიძე, ლია ქურხული.

სტუდენტები: გვანცა ქართველიშვილი, მარიამ გოგილავა, მარიამ ნოდია, მარიამ გოიაევა.

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარული ფაკულტეტის დებულების მესამე რედაქციის განხილვის შესახებ (მომხს. საბჭოს თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მაკა კაჭარავა).
2. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხილვა და აკადემიურ საბჭოზე გადაცემა (მომხს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი მაკა კაჭარავა).

მოისმინეს:

- I. დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ მაკა კაჭარავას ინფორმაცია ფაკულტეტის დებულების მესამე რედაქციის პროექტის შესახებ. დებულება შედგება 11 მუხლისაგან. მომხსენებელმა თითოეული მუხლი განიხილა დეტალურად, განსაკუთრებით ის მუხლები, სადაც შევიდა ცვლილებები, კერძოდ, მე-3

მუხლის ქვემუხლი 3.2-ს ა) და ბ) პუნქტები; მე- 5 მუხლის 5.3. ქვემუხლს დაემატა ი) ქვეპუნქტი (აკადემიური პერსონალის ატესტაციის ჩატარების უზრუნველყოფის საკითხი).

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ვ.საყვარელიძემ, ი.ჯობავამ, ასოცირებულმა პროფესორებმა კ.კვაშილავამ, ი. ზაქარაიამ, ი.მორგოშიამ.

აღნიშნული საკითხი დაყენებული იქნა კენჭისყრაზე. კენჭისყრაში მიიღო მონაწილეობა საბჭოს ყველა დამსწრე წევრმა.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ჰუმანიტარული ფაკულტეტის დებულების მესამე რედაქციის პროექტი წარმოდგენილი სახით და გადაეცეს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებგვერდზე.

II. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მაკა კაჭარავას ინფორმაცია ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხილვასთან დაკავშირებით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის დარგის პროფესორებმა და მოწვეულმა არასამტატო პერსონალმა დაასრულეს მუშაობა ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე, წარმოადგინეს პროგრამა და თანდართული სილაბუსები, რომლებიც შედგენილია კანონმდებლობით დადგენილი წესისა და აკრედიტაციის სტანდარტების თანახმად, პროგრამის მიზნები შეესაბამება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას, სწავლის შედეგები მიღწევადია და ორიენტირებულია შრომის ბაზარზე, პროგრამას გააჩნია მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, სწავლისა და სწავლების მეთოდები ადეკვატურია სწავლის შედეგებთან, სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო ლიტერატურა და სხვა რესურსები უზრუნველყოფილია და შესაძლებელია ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიეცეს შემდგომი მსვლელობა.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ვ.საყვარელიძემ, მ.ბალიაშვილმა, ი.ჯობავამ, ასოცირებულმა პროფესორებმა ი. ზაქარაიამ, ი.მორგოშიამ, ლ.ქურხულმა, ე. ჩომახიძემ.

დაადგინეს:

1. ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს მიერ მოწონებულ იქნა ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და საბჭომ ერთხმად მხარი დაუჭირა პროგრამის შემდგომ მსვლელობას და გადაცემას აკადემიურ საბჭოზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თქუ ვებგვერდზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

/მ. კაჭარავა/

სხდომის მდივანი:

/გ. გრიგორიანი/

